ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325150001**

თარიღი:**30/05/2025**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30მაისის #გ-13. 1324151001 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმისა და საშუალოვადიანი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის #გ-13. 1324151001 განკარგულება.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში(მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი